თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ბრძენი თუთიყუში

ერთ ვაჭარს დიდხანს ჰყავდა თუთიყუში. ძალიან უყვარდა და მისი გონიერებით თავსაც იწონებდა.

ერთხელ ვაჭარმა თავისი საქმეების მოსაგვარებლად ქალაქში წასვლა გადაწყვიტა და შინაურებს უთხრა: მითხარით, ვის რა საჩუქარი გინდათო.

საჩუქარზე უარი არავინ თქვა. ვაჭარი გამოემშვიდობა ოჯახს და ის იყო წასვლა დააპირა, რომ უცებ თუთიყუში გაახსენდა.

— შენ რაღა ჩამოგიტანო? — ჰკითხა თუთიყუშს.

— მე შენი არაფერი მინდა, — მიუგო მან, — მაგრამ თუ ერთ თხოვნას შემისრულებ, კარგი იქნება.

— მითხარი და ვეცდები, რომ შეგისრულო.

თუთიყუშმა უთხრა:

— იმ ქალაქთან ახლოს, სადაც შენ სავაჭროდ მიდიხარ, მინდორია. იქ ერთი ხე დგას. ზედ თუთიყუშები ბუდობენ. ნახე ის თუთიყუშები და მომიკითხე. გადაეცი, ჩემი თუთიყუში გალიაშია გამომწყვდეული. შემოგითვალათ, თქვენ რომ თავისუფლად დაფრინავთ და გაჭირვებულებზე არ ფიქრობთ, ქვის გულები ხომ არ გაქვთ. მოფრინდით, ტყვეობისგან დამიხსენით, თორემ სული გალიაში ამომძვრება-თქო. აბა ვნახოთ, რას გეტყვიან. თუ ამას შემისრულებ, დიდ სამსახურს გამიწევ.

— კარგი, ყველაფერს ვეტყვი, — უთხრა ვაჭარმა და თუთიყუშის ნათქვამი დაიმახსოვრა. ვაჭარი ჩავიდა ქალაქში, იყიდა საქონელი და გაეშურა იმ მინდვრისკენ, სადაც თუთიყუშები ცხოვრობდნენ. ხედავს, მინდორში უზარმაზარი ბებერი ხე დგას, ზედ თუთიყუშები შემომსხდარან. ვაჭარმა მათ თუთიყუშის ნათქვამი გადასცა. ჯერ სიტყვა არ

LIVEWORKSHEETS

ჰქონდა დამთავრებული, რომ თუთიყუშები უსულოდ ჩამოცვივდნენ ხიდან.

ვაჭარი გაოცდა. იფიქრა, ალბათ ეს გარეული ფრინველები წინათ ჩემი თუთიყუშის მეგობრები იყვნენ. იმის ამბავი რომ გაიგეს, იმიტომ დაიხოცნენო. ძალიან დაენანა, მაგრამ რას იზამდა.

შინ მშვიდობით დაბრუნდა, ყველას საჩუქრები ჩამოუტანა, ხოლო თუთიყუშს არაფერი უთხრა. არ უნდოდა, მეგობრების სიკვდილით დაედარდიანებინა.

თუთიყუში თვითონ შეეკითხა:

— ბატონო, გადაეცი თუ არა ჩემი სალამი? რატომ პასუხს არ მეუბნები?

— შენი სალამი გადავეცი, — მიუგო ვაჭარმა, — მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

თუთიყუში ძალიან დაღონდა.

— მაშინ ის მაინც მიამბე, რა ნახე.

ვაჭარმა ყველაფერი უამბო.

— როგორც მითხარი, მივედი იმ მინდორზე. ვხედავ, ხეზე თუთიყუშები შემომსხდარან. როგორც კი შენი სალამი გადავეცი, მაშინვე უსულოდ დაცვივდნენ მიწაზე.

თქვა თუ არა ეს ვაჭარმა, თუთიყუში დარეტიანდა და უსულოდ დაეცა ძირს.

შეწუხდა ვაჭარი. მეგობრების სიკვდილის ამბავი არ უნდა მეთქვაო, – გაიფიქრა.

მერე გააღო გალია, თუთიყუშს ფეხებში მოჰკიდა ხელი და სარკმელში გაისროლა. ჰოი, საოცრებავ! ამას კი არ მოელოდა ვაჭარი. თუთიყუში უცბად შეფრთხიალდა და გაფრინდა.

ვაჭარი მიხვდა, გარეული თუთიყუშებიც ცოცხლები იყვნენ. მათ მხოლოდ იმისთვის მოიმკვდარუნეს თავი, რომ დამწყვდეული თუთიყუშისთვის ენიშნებინათ, როგორ ეხსნა თავი ტყვეობისგან.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რისთვის გაემგზავრა ვაჭარი ქალაქში?

ა) სავაჭრო საქმეების მოსაგვარებლად.
ბ) სხვა თუთიყუშების ჩამოსაყვანად.
გ) შინაურების თხოვნის შესასრულებლად.

2. ვაჭარს თუთიყუში ძალიან უყვარდა, მიუხედავად ამისა, ფრინველი უბედურად გრძნობდა თავს. რა იყო ამის მიზეზი?

ა) ვაჭარი ხშირად ტოვებდა მარტო.
ბ) თავისუფლება ჰქონდა წართმეული.
გ) პატრონს ოჯახის წევრები უფრო უყვარდა.

3. რა მიზნით სთხოვა თუთიყუშმა ვაჭარს გარეული თუთიყუშების მონახულება?

ა) იცოდა, რომ გონივრულ რჩევას შემოუთვლიდნენ.
ბ) სურდა, რომ მეგობარი თუთიყუშების ამბავი გაეგო.
გ) უნდოდა, რომ ვაჭარს გონიერი თუთიყუშები გაეცნო.

4. „ქვის გულები ხომ არ გაქვთ?" - შეუთვალა თუთიყუშმა გარეულ თუთიყუშებს. გამოთქმა <u>ქვის გული გაქვთ</u> ნიშნავს:

ა) მტკიცე ხასიათი გაქვთ.
ბ) უშიშრობით გამოირჩევით.
გ) შეუბრალებელი ხართ.

5. როგორ მოიქცნენ თუთიყუშები, ვაჭრის ნათქვამი რომ მოისმინეს?

ა) თუთიყუშის გათავისუფლება სთხოვეს.
ბ) თუთიყუშისთვის საჩუქრები გადასცეს.
გ) ხიდან უსულოდ ჩამოცვივდნენ.

6. რა თვისება გამოავლინეს გარეულმა თუთიყუშებმა?

ა) გულგრილობა. ბ) ერთგულება. გ) საზრიანობა.

LIVEWORKSHEETS

7. **რატომ არაფერი უთხრა ვაჭარმა თუთიყუშს თავდაპირველად?**

ა) არ უნდოდა ის მომხდარის გამო დაედარდიანებინა.

ბ) არ უნდოდა მას თუთიყუშებისგან მაგალითი აეღო.

გ) არ უნდოდა მისთვის საკუთარი განცდები ეჩვენებინა.

8. რისთვის გააღო ვაჭარმა თუთიყუშის გალიის კარი?

ა) თუთიყუშს მეგობრები რომ მოენახულებინა.

ბ) მკვდარი თუთიყუში რომ გადაეგდო.

გ) ცოტა ხნით თავისუფლად რომ ეფრინა.

9. რას ნიშნავს სიტყვა <u>დარეტიანდა</u>?

ა) თავბრუ დაეხვა.

ბ) სული გააფრთხო.

გ) ფრთები ჩამოუშვა.

10. რას ნიშნავს „თავი მოიმკვდარუნა?“

ა) თავი მკვდრად მოაჩვენა.

ბ) სიკვდილის ძალიან შეეშინდა.

გ) უცებ მართლა მოკვდა.

11. ვაჭრის რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ მან ინანა გარეული თუთიყუშების ამბის მოყოლა?

ა) „მეგობრების სიკვდილის ამბავი არ უნდა მეთქვა“.

ბ) „როგორც კი შენი სალამი გადავეცი, უსულოდ დაცვივდნენ მიწაზე“.

გ) „შენი სალამი გადავეცი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია“.

12. რას გვასწავლის ეს ზღაპარი?

ა) გამოსავლის ძებნისას საზრიანობა უნდა გამოიჩინო.

ბ) მიცემული პირობა ყოველთვის უნდა შეასრულო.

გ) ყურადღება ყველას მიმართ უნდა გამოიჩინო.

LIVEWORKSHEETS